



შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (9.764)

21-28 იანვარი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ჩემს პროფესიაში
მყარად და
თავდაჯერებულად
ვდგავარ!




მმ.8

საყოველთაო ნათლობა სამთაფყაროში



მმ.3



მმ.8

„ნიჭიერი“
თამარ
ყველაფერი
ფინალშია

უბედურ
შემთხვევას
მსხვერპლი
მოჰყვა

მმ.7



ქვემო ქედის სკოლის
ყოფილმა დირექტორმა
თანამდებობაზე
აღდგენის მოთხოვნით
სასამართლოს მიმართა

მმ.4

უანბაროდ
ბაცაგული
მადლი

მმ.4



სამუშაოს
მაძიებელთა
გადამზადება
დაიწყო

მმ.2

გამოიწერეთ გაზეთი
„შირაქი“

2017 წლისთვის გაზეთ „შირაქის“
პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ელირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“
- შეიტყუეთ ყველაფერი
დადოვლისწყაროში მიმდინარე
მოვლენების შესახებ.

„კახეთის საათი“



„ოზიქიპიპი“

ახალი დროით

კვირა 12:30

გიორგი კვირიკაშვილი-საქართველოს აქვს კარგი შესაძლებლობები, გახდეს რეგიონალური წარმომადგენლობების ადგილი კომპანიებისთვის და უკვე ბევრი მათგანი დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნით

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შედეგებზე ისაუბრა და ორდღიან ვიზიტს „წარმატებული“ უწოდა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, გამართული შეხვედრები მნიშვნელოვანია ქვეყნის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, გამართა შეხვედრები სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებთან და წამყვან ბიზნესკომპანიებთან. გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ კონკრეტული შედეგები სულ მალე იქნება.

„ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში გვექონდა ბევრი საინტერესო შეხვედრა. მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ გუშინ გამართულ ბიზნესლანჩზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტმა გააკეთა ძალიან ოპტიმისტური პროგნოზები, რაც ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. გვექონდა შეხვედრები სახელმწიფოების მეთაურებთან, პრემიერ-მინისტრებთან, ინვესტორებთან. მათ წარმოუდგინეთ ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის შესახებ. მოგესხნებათ, დავოსში ხელშეკრულებების ხელმოწერა ძალიან იშვიათად ხდება. აქ ხდება ინფორმაციის გაცვლა და შემდგომი ორიენტირის აღება მოქმედებისთვის. საქართველოს აქვს ძალიან კარგი შესაძლებლობები, რომ გახდეს რეგიონალური წარმომადგენლობების ადგილი ბევრი კომპანიისთვის და ეს აღნიშნა კიდევ ყველამ, ვისაც შეხვდით. ჩვენ შევხვდით სერვისის კომპანიებს, მწარმოებლებს და უკვე ბევრი მათგანი დაინტერესებულია საქართველოში. ვფიქრობთ, სულ მალე კონკრეტული შედეგები გვქმნება“- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ორმხრივ შეხვედრებს განაგრძობს.

სამუშაოს მაძიებელთა გადაძაბვა დაიწყო

საქართველოში ახალი სამუშაო ადგილების გაჩენისა და ქვეყანაში დასაქმების ახალი მიდგომების დანერგვის მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დასაქმების მსურველთა გადაძაბვა დაიწყო. ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეს არის კერძო და სახელმწიფო თანამშრომლობის მოდელი.

პირველ ეტაპზე გადაძაბვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების ბაზაში (სოცსერვის-სერვის) და რეგისტრირებული 50 ბენეფიციარი. გადაძაბვის მიზანია დასაქმების მსურველმა ბენეფიციარებმა შეძლონ დასაქმების საერთაშორისო პლატფორმაზე დარეგისტრირება და სასურველი სამუშაოს მოძიება. ბენეფიციარები ასევე გადაძაბვასთან სოციალური მარკეტინგის მიმართულებით.

გადაძაბვის პირველ ეტაპს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელზა ჯგერენაია და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი მიხეილ ბატიაშვილი ესწრებოდნენ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის თანამშრომლობის მიზანია საქართველოში მსოფლიოს დასაქმების ბაზარზე არსებული ახალი ტრენდის დამკვიდრების ხელშეწყობა და გლობალურ დისტანციურ სამუშაოებში ჩართვის მიზნით რაც შეიძლება მეტი სამუშაოს მაძიებელი ადამიანის გადაძაბვა. გადაძაბვის პროცესი უფასოა და ის ხელმისაწვდომია დასაქმების ბაზაში დარეგისტრირებული ბენეფიციარებისთვის.

„ტექნოლოგიების განვითარებისა და მსოფლიო ინტერნეტიზაციის პრობლემაში დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურ დასაქმების მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს აქვს წვდომა დასაქმების საერთაშორისო პლატფორმაზე, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო დასაქმების პორტალს აერთიანებს და სადაც ყოველდღიურად 10 მილიონ სამუშაო ადგილზე ფიქსირდება მოთხოვნა.

აღნიშნული თანამშრომლობა ასევე ხელს შეუწყობს ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარებას, რომელიც ასევე მსოფლიოში მზარდი ტემპით ვითარდება და მას მომავლის ეკონომიკას უწოდებენ“- ნათქვამია ინფორმაციაში.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის მთავრობა 2017 წელს 5 620 000 ლარს დახარჯავს

2017 წელს ღვინო-პროდუქციის საერთაშორისო პოპულარიზაციისთვის ღვინის ეროვნული სააგენტო 5620000 ლარს დახარჯავს. სააგენტო ამ თანხით საქართველოში მეღვინეობის განვითარებას და მის ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინო-პროდუქციის პოპულარიზაციას, ცნობადობის ამაღლებასა და საქსპორტო მინოდების მაქსიმალურად ზრდას გეგმავს.

ღვინის პოპულარიზაციისთვის, 2017 წელს გათვალისწინებულია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიოს 12 ქვეყანაში საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, საერთაშორისო ღვინის კონფერენციების, გამოფენების და პრესტურების მოწყობა-ჩატარება. გარდა ამისა, მედია-კამპანიების, სარეკლამო რგოლების და სხვადასხვა ბაზრის კვლევების ჩატარება, წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება და მაღალხარისხიანი ქართული ღვინის საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე მოხმარების პოპულარიზაციისა და ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50 მილიონამდე ბოთლი ღვინო. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებელი 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 113.8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 194,3 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 146,5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა - ზრდამ 32% შეადგინა.

პაატა იმნაძე - ვირუსების გამო მოქალაქეთა მომართვიანობის რიცხვმა თებერვლის მეორე ნახევარში შესაძლოა, მოიმატოს

ვირუსების გამო, მოქალაქეთა მომართვიანობის რიცხვმა თებერვლის მეორე ნახევარში შესაძლოა მოიმატოს, თუმცა ეს საგანგაშო არ არის, - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ ყურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

პაატა იმნაძის განცხადებით, ამჟამად წყნარი პერიოდი და ყოველ 100 ათას მოქალაქეზე მომართვიანობის მაჩვენებელი 200-300 ადამიანს შეადგენს, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით დაბალია.

„ამჟამად წყნარი პერიოდი და ყოველ 100 ათას მოქალაქეზე მომართვიანობის მაჩვენებელი 200-300 ადამიანს შეადგენს. ვირუსული ინფექციების პიკი იყო გასული წლის დეკემბერში, როდესაც მომართვიანობა ყოველ 100 ათას მოქალაქეზე 400 ადამიანს შეადგენდა, თუმცა ეს პერიოდი გამოვიარეთ. შესაძლოა, გარკვეული აქტივობა თებერვლის მეორე ნახევარში კვლავ იყოს, თუმცა ეს საგანგაშო ნამდვილად არ არის“, - განაცხადა პაატა იმნაძემ.

მისივე თქმით 2016 წელს ვირუსული ინფექციების გამო 4 ლეტალური შემთხვევა დაფიქსირდა.

როგორც პაატა იმნაძემ განაცხადა, ამჟამად მედიკამენტებთან მდგრადი ბაქტერია ამერიკის შეერთებულ შტატებშია დაფიქსირებული. რაც საქართველოსთვის ამ ეტაპზე საშიში არ არის, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოშიც არ გახდნენ ბაქტერიები მედიკამენტებთან მდგრადები, იმნაძე მოქალაქეებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ანტიბიოტიკების ზედმეტი დოზის მიღებისგან, ხოლო ვირუსული ინფექციების თავიდან არიდებისთვის დაიცვან ჰიგიენის ნორმები და ხშირად დაიბანონ ხელი.

საქსტატი - 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს საგარეო ვაჭრობა 20%-ით გაიზარდა

2015 წელთან შედარებით, 2016 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობა 20%-ით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2016 წლის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ წინასწარი ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2016 წელს საქართველოში საქონლით საგარეო ვაჭრობა ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11966 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 2114 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (4 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 9852 მლნ. აშშ დოლარს (27 პროცენტით მეტი).

„აღსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში განხორციელდა ჩიკაგოსის მედიკამენტების იმპორტი, რომლის გარეშეც იმპორტი შეადგენს 7233 მლნ. აშშ დოლარს (1 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წელს 7738 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო ვაჭრობა ბრუნვის 65 პროცენტით შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 1658 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

საქსტატიც ცნობით, 2016 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობა ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3601 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 571 მლნ. აშშ დოლარი იყო (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 3030 მლნ. აშშ დოლარი (20 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო ვაჭრობა ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 30 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 27 პროცენტი და იმპორტში 31 პროცენტი (2015 წელს შესაბამისად 32, 29 და 33 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 32 პროცენტი (2015 წელს 34 პროცენტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობა ბრუნვამ 2016 წელს 2721 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2015 წელთან შედარებით 3 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 739 მლნ. აშშ დოლარი (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1983 მლნ. აშშ დოლარი იყო (1 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო ვაჭრობა ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 23 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 35 პროცენტი და იმპორტში 20 პროცენტი (2015 წელს შესაბამისად 28, 38 და 25 პროცენტი). 2016 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 16 პროცენტი (2015 წელს 20 პროცენტი).

საქსტატის ცნობით, 2016 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო ვაჭრობა ბრუნვაში 68 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია კანადა (1832 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (1525 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (881 მლნ. აშშ დოლარი).

2016 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, საქსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავეს, 312 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 15 პროცენტი შეადგინა. თხილის ექსპორტი 179 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე ფეროშენადნობების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 169 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2016 წელს კვლავ სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 2892 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 29 პროცენტი შეადგინა. აქედან, ჩიკაგოსის მედიკამენტების იმპორტი 2619 მლნ. აშშ დოლარია. მეორე ადგილზე იმყოფებოდა ნავთობის და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 619 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 6 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 473 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5 პროცენტი).

დონალდ ტრამპმა საპრეზიდენტო ფიცი დადო

დონალდ ტრამპმა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ჯონ რობერტსის თანდასწრებით ფიცი დადო და ოფიციალურად აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

„მე, დონალდ ტრამპი, საზეიმოდ ვფიცავ, რომ ერთ-გულად ვუხელმძღვანელებ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას და ვაუკეთებ ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს, რათა მოვუარო, გავუფრთხილო და დავიცვა აშშ-ის კონსტიტუცია. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“ - განაცხადა მან ფიცის დადებისას.

ასევე, ფიცი აშშ-ის ახლად არჩეულმა ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსიმ დადო.

გასული წლის 8 ნოემბერს დონალდ ტრამპმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში „დემოკრატების“ კანდიდატი ჰილარი კლინტონი დაამარცხა.

საყოველთაო ნათლობა სამთაწყაროში

19 იანვარს, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროს მალხაზ მერაბიშვილთან და ხორნაბუჯისა და პერეთის ეპისკოპოს, მეუფე დიმიტრისთან (კაპანაძე)

ერთად მდინარე ალაზანზე საყოველთაო ნათლობასა და მრევლის განბანვის რიტუალს დაესწრო. დილით წირვა-ლოცვა სამთაწყაროს სამლოცველო სახლში ჩატარდა, რის შემდეგაც მრევლმა მდინარე ალაზნის ნაპირას გადმოინაცვლა. გაცნობებით, რომ 19 იანვარს მდინარე ალაზანში სულ 11 ბავშვი მოინათლა.



ნათლისღება

ნათლისღება, ანუ წყალკურთხევა - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანეში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელილო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევა მოეწიებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სინამდვილე, როგორც უცოდველი, განწმედა კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელილო ჩვენი შეწვევისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? — უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიზრქეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა

გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს?

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება — ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.

19 იანვარს საქართველოს სრულიად მართლმადიდებლური ეკლესია ნათლისღების დღეს აღნიშნავს. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სახლშიც დიდი ცერემონიით ჩატარდა ეს დღესასწაული. ტაძრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა იონოფრემ არ ურალატა ტაძრის ტრადიციას და მრევლთან ერთად ფეხით მსველობით და ზარების რეკვით გაიარა გზა „მაზოვკის“ წყარომდე, სადაც მან ეს წყარო აკურთხა. ამ დღეს „მაზოვკის“ წყაროზე უამრავმა მომლოცველმა მოიყარა თავი, მათ ტრადიციულად წყაროს წყალი აავსეს და სახლებში წაიღეს მთელი წლის სასამელი წლის საკურთხად.

ლალი მხერჩიშვილი



საზოგადოებრივი კონსერტზე „ფიფქიასთან“ და „შვიდ ჯუჯასთან“ ერთად...

13 იანვარს კულტურის სახლმა რაიონის მოსახლეობას ულამაზესი საზოგადოებრივი ღონისძიებით უმასპინძლა. საზოგადოებრივი ღონისძიების სახელს დასწრეობა „ახალი წელი ტყეში“ სრული ანშლავით ჩაიარა. მაცურებლებით გადაჭედული კულტურის სახლის დარბაზში ორსაათიანი ღონისძიებაზე სირუშეს მხოლოდ ტამის და ოვაციების ხმა არღვევდა. ულამაზესი, სპეციალურად საზოგადოებრივი დიზაინით მოწყობილი

დარბაზი და შემოსილი მონაწილეები ერთი შეხედვისთანავე მაცურებელს ნამდვილ ზღაპარში აგრძობინებდნენ თავს. მართლაც, ეს ყველაფერი ხომ იმას ემსახურებოდა, დროებით ყველას თავისი პრობლემა და საფიქრალი გვერდით გადაედო და რამოდენიმე საათით ზღაპრულ სამყაროში ეცხოვრა „ფიფქიასთან“, „7 ჯუჯასთან“ და სხვა დანარჩენ მონაწილე-

ბთან ერთად. ღონისძიება მიჰყავდა თეატრ „ბერიკონის“ წარმომადგენელს -თათია ცისკარაულს, „ჯუჯებმა“ კი გადაწყვიტეს ზამთრის ამ ღამეზე დღეს ფიფქიასთვის საახალწლო ზეიმი მოეწყოთ, ამ კონცერტის მოწყობაში შვიდივე ჯუჯას-ჭკვიანას, მდუმარას, ცხიკინას, ჩუმჩუმელას, ბუზლუნას, იღბალას, ზარმაცას ესმარებოდნენ „ციცინათელები“-საბავშვო სტუდია „არლეკინოდან“, (ხელმ. ნ.ლოლაშვილი), ტრიო „დები ლოლაშვილები“, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი“ (ხელმ. დალი ელისაშვილი), ტრიო „ცეროდენა“ (ხელმ. ნ.ლოლაშვილი), სიმანილოვასთან ერთად (ხელმ. ნინო ნიკვაშვილი), ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავე გოგონები და სხვა შემსრულებლები.

საზოგადოებრივი კონცერტამდე რამოდენიმე დღით ადრე, 7 იანვარს დედოფლისწყაროს „ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით, ხორნაბუჯისა და პერეთის ეპარქიის მხარდაჭერითა და მონაწილეობით დაიწყო საზოგადოებრივი მსველობა. ალილოს მონაწი-



ლეებმა ქალაქის მოსახლეობას შობის მიულოცეს. შობის მახარობლებმა საქველმოქმედო მსველობით მოსახლეობიდან, ორგანიზაციებიდან და სავაჭრო ობიექტებიდან მოგროვილი ტკბილეული სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გაუნანილეს. შემოწირულობებით მიღებული ორმოცი პაკეტიდან 7 პაკეტი გადაეცა ბომათა მრავალშვილიან ოთხ ოჯახს

სოფელ ჭოეთში, დანარჩენი ქალაქის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დაურიგდა, ხოლო მოგროვილი 100 ლარიდან 40 ლარის ტანსაცმელი და საკვები შეუძინეს N2 საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეს, 60 ლარის საკვები პროდუქტი შეუძინეს N1 საჯარო სკოლის ორ მოსწავლეს.

კლზა ხარაშვილი



ორი თასი, ერთი მელაღი და ახალი რეპერტუარი

დები ლოლაშვილების გარეშე ბოლო ხანს დედოფლისწყაროში ღონისძიებები ნაკლებად ტარდება. გასული წელი დებისთვის საკმაოდ წარმატებული იყო და სხვადასხვა მიღწევებთან ერთად მათ შეძლეს თავიანთი შემოქმედება სხვა ქვეყანაშიც გაეტანათ და უცხო ქვეყნის სცენაზეც პირველი ადგილი დაეკავებინათ. დები ლოლაშვილები ქართულ ფოლკლორს არ დასჯერდნენ და კავკასიური ერების სიმღერებშიც მოსინჯეს ძალები. ახლახან თბილისში გამართულ სოლო კონცერტზე სწორედ კავკასიური რეპერტუარი წარმოადგინეს. ამ თემებზე გაზეთი „შირაჟი“ დებს ესაუბრა.

ლიკა: გასული წელი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენთვის. თვალი რომ გადავავლოთ არაერთი პრიზი მივიღეთ. ხელთ გვაქვს ორი თასი, ერთი მედალი და უამრავი სიგელი და დიპლომი. ამავდროულად, ერთერთი პროექტიდან საჩუქრად მივიღეთ ინსტრუმენტი, ჩოგურის, რომელიც ასე ძალიან გვჭირდება. ის დაგვეხმარება იმაში, რომ უფრო მრავალფეროვანი გახდეს ჩვენი რეპერტუარი.

მარიამი: გახსოვთ, ალბათ, გასულ წელს საგუნდო საზოგადოებამ გამოაცხადა ფესტივალ-კონკურსი, სადაც გალობისა და ხალხური სიმღერის კატეგორიაში მივიღეთ მონაწილეობა. კონკურსის შესახებ ინფორმაცია დედოფლისწყაროს კულტურის სახლში მივიღეთ. აღმოჩნდა, რომ გალობის კატეგორიაში პირველი ადგილი ავიღეთ, ხოლო ხალხურ სიმღერებში მეორე ადგილი. აქვე გადმოგვეცა ფულადი ჯილდო 600 ლარი და ოქროს მედალი. ყოველთვის ხელშეწყობა გვაქვს რაიონის ხელმძღვანელების მხრიდან. გვერდით გვიდგანან და უფლება არ გვაქვს ეს ნდობა არ გავამართლოთ.

- სიახლეა ის, რომ ახლახან სხვა ენებზეც ამღერდით, ჩატარდა თქვენი სოლო-კონცერტიც. გვიამბეთ ამის შესახებ...

ლიკა: - ძირითადად კავკასიური რეპერტუარის შესწავლა დავიწყეთ, ეს ინტერესი კი იმან გამოიწვია, რომ კავკასიოლოგიაზე ჩავაბარე და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. კავკასიის ერებისადმი ჩემი სიყვარული ჩემს დებსაც გადაედე და სიმღერებიც ასე შევისწავლეთ. რადგან მონათესავე ერები ვართ, გვინდა ერებს შორის კულტურულ დაახლოებას ხელი შევუწყოთ და აქედან წამოვიდა სურვილი. იდეა გავაჟღერეთ, რომ გვსურდა შეგვექმნა კავკასიის ხალხთა ფოლკლორიდან რეპერტუარი. აღმოჩნდა, რომ თბილისში მოქმედი კავკასიური სახლი ამით ძალიან დაინტერესდა, შემდეგ კი დაგვიფინანსეს პროექტი. ამისთვის გვჭირდებოდა ინსტრუმენტები და პროექტის ხარჯებით ბასფანდური და ჩოხური შევიძინეთ, რომელიც ბატონმა ნუკრი კელაპტრიშვილმა დაგვიმზადა. შევისწავლეთ ქართულიდან: მეგრული, სვანური და

აფხაზური, ასევე ჩრდილოკავკასიის ხალხის, ჩეჩნების, ჩერქეზების და ოსების სიმღერები. მომავალში შესაძლოა კიდევ გავაგრძელოთ და დაღესტნელების ფოლკლორიც შევისწავლოთ.

- მზადების პროცესი ალბათ რთული იყო, ტექსტები რამდენად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა?

- სასწავლებელში გვყავს სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. ისინი დაგვეხმარნენ როგორც თარგმანში, ისე ტექსტის დამუშავებაში. ასევე დაგვეხმარნენ პანკისელი ქისტები, ისინიც ჩვენთან, კავკასიოლოგიაზე სწავლობენ. ძალიან გვერდით გვედგნენ დები გუნთასაშვილები, ასევე ჩემი ლექტორები, ჩერქეზი ქალბატონი თამარ უჯუხუ და ოსი ქალბატონი იზოლდა ტიგიევა. მათი თანადგომით მოხერხდა ტექსტის მოძიება, თარგმანი, აქცენტების დახვეწა.

მარიამი: ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა მუშაობის პროცესი. რთული იყო, მაგრამ ბევრი რამ შეგვიძინა. ძალიან გავიზარდეთ და ამ ყანრშიც განვითარდით. რაც უფრო ფართო მასშტაბებზე გავითვალისწინებთ შემოქმედებას, მით უფრო სასიამოვნოა.

ანა: კავკასიელები, რომლებიც ჩვენს საღამოს დაესწრნენ, ძალიან უხაროდან, რომ ჩვენ მათ მშობლიურ სიმღერებს ვასრულებდით. დაუფარავად გამოხატავდნენ ემოციებს და ცხადია, ჩვენთვისაც დიდი ბედნიერება იყო, რომ მათ ეს სიამოვნება მივანიჭეთ, საღამო გავეულამაზეთ.

ლიკა: ჩერქეზებიც მღერიან ხოლმე



მარიამი: ჩერქური სიმღერები ძრითადად სამშობლოზე და ძალიან პატრიოტული სულისკვეთება იგრძნობა. მუშაობის და სიმღერების სწავლის დროს ჩემთვის ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ მისამღერი „ლაილა ჰა, ილა ლა“ არის არაბულ ტექსტზე, რაც ნიშნავს: „ალაჰო, დაიფარე, გადმოხედე ჩვენს სამშობლოს, ისენი განსაცდელისგან და მშვიდობა დაუმკვიდრე.“ ასევე ტექსტში ყველაზე სევდიანი და ამალელვებელი ფრაზა არის: „ჩეჩნეთო, შენი გულისთვის მოვკვდები, თავს გავწირავ, სული მტკივა“.

მარიამი: ამ ულამაზეს ქვეყანაში ათი დღე ვიყავით, შევასრულეთ როგორც ნამდვილი ხალხური სიმღერები, ისე ფსევდო ხალხური სიმღერები შემდგარი პოპური. ფესტივალზე სამი სიმღერით წარვსდგეთ, თუმცა უკვე გალა კონცერტზე, რომელიც ბულგარეთის ამფითეატრში ჩატარდა, სოლო კონცერტი გავმართეთ კიდევ ერთ ქართულ ანსამბლ „ილორთან“ ერთად. ადგილობრივი ხელისუფლებაც ეწირებოდა ფესტივალს და როდესაც ნახეს, რომ დიდი რეპერტუარი გქონდა, თავად შემოგვთავაზეს, ამფითეატრში სოლო კონცერტი ჩაგვეტარებინა.

ლიკა: გვინდოდა მთლიანად გვეჩვენებინა ქართული კულტურა, ამიტომ საგალობლებიც შევასრულეთ და ყველაფერი გავაკეთეთ, რომ დადებითი განწყობა შეგვექმნა.

- თავისუფალ დროს ქალაქის დათვალიერება თუ მოახერხეთ?

მარიამი: მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიციებიც ბევრი გვქონდა, თავისუფალი დროც გვრჩებოდა და ცხადია, მოგვეცა შესაძლებლობა დაგვეთვალიერებინა. არ დამაინტერესებდა არცერთი ნუთი, რომელიც ბულგარეთში გავატარეთ. ძირფესვიანად გავცვანი ადგილობრივ კულტურას, ცოტა ენაც შევისწავლეთ. ჩვენთვის ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ გამგზავრებისას გვეგონა ინგლისური ენის წყალობით გავიდოდით ფონს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვინაიდან ბულგარეთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, ძირითადად რუსული ენა გვჭირდებოდა. მხოლოდ ახალგაზრდებთან ჭრიდა ინგლისური დიალოგი.

- მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად მღერით, ეს ყანრი არცთუ ისე პოპულარულია. თქვენი შეფასებაა საინტერესო, დედაქალაქში და რეგიონებში, რამდენად არის ის მოთხოვნილი?

ლიკა: გეთანხმებით, ნაკლებადაა პოპულარული სუფთა, რასაც ქვია წმინდა ფოლკლორი. ფსევდო ხალხური უფრო იდგამს ფესს, მაგრამ ძველი ფოლკლორი არ არის მოთხოვნილი, განსაკუთრებით ახალ თაობებში. თუმცა, შეძლებისდაგვარად, ჩვენ ცდილობთ, ეს დამოკიდებულება შევცვალოთ.

- მას შემდეგ, რაც დებიდან ორი სტუდენტი გახდით, რამდენად ხშირად ახერხებთ ერთად თავმოყრას და მუშაობას?

- ძალიან იშვიათად გვინებს შეხვედრა და ძალიან რთულია, როცა გუნდი ერთად არ არის და სხვადასხვა ქალაქში უწევს ყოფნა. ამის გამო სწრაფად განვითარება და ახალი სიმღერების დამუშავება გვიჭირს, მაგრამ სადაც სურვილია, შეუძლებელი არაფერი იქნება. ამასთან, იმის იმედი გვაქვს, რომ ანა ძალიან საინტერესო ფაქულტეტზე აბარებს, ზუსტად ამ განხრით. ამჟამად ის დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლაში სწავლობს და სექტემბრიდან გიორგი მთაწმინდელის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდება და გვექნება შესაძლებლობა მთელი დრო ისევ ერთად გავატაროთ.



ქართულ სიმღერებს და ასევე ჩეჩნეთში, გროზნოშიც ასრულებენ. შესაბამისად, ეს ყველაფერი მეზობელ ქვეყნებს ეხმარება ერთმანეთთან დაახლოებაში და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებაში. აღმოვაჩინეთ, რომ ქართული ფოლკლორი მართალია პოლიფონიით სამხმინანია, მაგრამ, ჩანს რომ მელოდიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. კავკასიური სიმღერები ძალიან მოვირგეთ, რადგან ხასიათი, სულისკვეთება და ღირებულება ერთია.

- რაც შეეხება სოლო კონცერტს?

- კონცერტის ჩატარებამდე, კავკასიურ სახლში გაიმართა ჩვენი კათედრის ხელმძღვანელის ცირა ბარამიძის წინგის

პრეზენტაცია. ამ საღამოზე შევასრულეთ ერთერთი ჩერქეზული სიმღერა „ადიფ“. საინტერესო იყო რეაქციები, რადგან გაცილებით მრავალეროვანი დარბაზი ესწრებოდა და მათი აპლოდისმენტები ბევრს ნიშნავდა. შემდეგ უკვე, კავკასიურ სახლში კულტურული კალენდრის ფარგლებში მივიღეთ მონაწილეობა და სოლო კონცერტი ჩავატარეთ. მონვეული იყვნენ სტუმრები, პროფესორები, ასევე პროგრამის წარმომადგენლები და მეგობრები.



უბედურ შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა

დედოფლისწყაროდან თბილისისკენ მიმავალი სატვირთო მანქანა თბილისი-დედოფლისწყაროს მიმართულეობით მოძრაე სამგზავრო მიკროავტობუსს შეეჯახა. სიღნაღის რაიონის სოფელ ილიანმინდაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, 7 კი დაშავდა, მათ შორის ერთი ბავშვია. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გარდაცვლილია დედოფლისწყაროში მცხოვრები სამი მცირეწლოვანი შვილის დედა თათა ჯულაყიძე-ქიშვილი. დაშავებულები, სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებითა თუ მოტყეხილობებით, დედოფლისწყაროსა და წნორის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

თვითმხილველების თქმით, სატვირთო მანქანა დიდი სიჩქარით მოძრაობდა, რის გამოც მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა მკვეთრ მოსახვევში გადაბრუნდა, რა დროსაც ე.წ. „მინივენის“ ტიპის მანქანას დაეცა და ზედ ქვიშა დააყარა. როგორც შსს-ს პრესსამსახურში „შირაქს“ განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუ-

თე ნაწილით დაიწყო, რაც ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. მძღოლის ბრალეულობის საკითხს გამოძიება დაადგენს.

ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ კონკრეტულ მონაკვეთზე ამგვარი შემთხვევები ხშირია და ტრაილერები გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობენ. მოსახლეობა გზის გაფართოებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში გზის გადაკეცივით იმუქრება.

როგორც შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკის“ მენეჯერმა ხათუნა ზურუკაშვილმა განაცხადა, დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ავტოავარიის შედეგად დაშავებული სამი პაციენტი მკურნალობდა.

„დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მხოლოდ სამი ადამიანი შემოიყვანეს, ორი 50—დან 70 წლამდე შუახნის პირი და ერთი 15 წლამდე მოზარდია. შემოყვანისას მათ მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდათ. აღმოუჩინეთ სათანადო პირველადი დახმარება, ახლა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია“, — აცხადებს ხათუნა ზურუკაშვილი.

წნორის საავადმყოფოს ექიმი ნანა თამაზაშვილი ამბობს, რომ დანარჩენი დაშავებულები წნორის არქიმედეს კლინიკაში მოათავსეს, მათაც სამე-



დიცინო დახმარება აღმოუჩინეს. დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ავტოავარიისას დაშავებული მგზავრები დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოინახულა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი გარდაცვლილის ოჯახს თანაგრძნობას უცხადებს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ილია მარტყოფლიშვილი

რა არის თავის ტვინის ანევრიზმა – პერაბი დაავადება, რომელსაც ახალგაზრდების ენირეზიან


მხოლოდ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ორი ახალგაზრდა გოგონა გარდაიცვალა ამ დიაგნოზით - ყოველგვარი წინასწარი შესავლების, სიმპტომების და ავადმყოფობის ნიშნების გარეშე, ერთ დღესაც მოულოდნელად გარდაიცვალენ... ანევრიზმა სისხლძარღვის გამოზრდილი ადგილია, რომელიც

სისხლძარღვთა კედლის თანდაყოლილი პათოლოგიით; ზოგიერთი გენეტიკური დარღვევით (შემადრთვებული ქსოვილის დაავადებები, თირკმელთა პოლიკისტოზი, სისხლის მიმოქცევის დარღვევა - არტერიებისა და ვენების პათოლოგიური დატოტანება, რაც სისხლის მიმოქცევის დარღვევას იწვევს;

ფუძეს შორის. - ვის შეიძლება დაემართოს დაავადება? - თავის ტვინის სისხლძარღვთა ანევრიზმა ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს, თუმცა მოზრდილებში უფრო ხშირად აღირიცხება, ვიდრე ბავშვებში, ქალებში უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცებში. ანევრიზმის გახეთქვის ალბათობა მისი ნებისმიერი ფორმის დროს ერთნაირია, თუმცა, სტატისტიკით, უფრო მეტად 30-დან 60 წლამდე ასაკის პაციენტებშია მოსალოდნელი. ანევრიზმის გახეთქვას ხელს უწყობს ჰიპერტონია (მაღალი არტერიული წნევა), ალკოჰოლის ჭარბი გამოყენება, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მოხმარება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თვით ანევრიზმის ზომა. განასხვავებენ: მცირე (დიამეტრი - 11 მმ-ზე ნაკლები), საშუალო ზომის (დიამეტრი - 11-25 მმ) და გიგანტურ (დიამეტრი - 25 მმ-ზე მეტი) ანევრიზმას.

არსებობს თუ არა ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება მივხედეთ, რომ ადამიანს თავის ტვინის ანევრიზმა აქვს? - სანამ ანევრიზმა მეტისმეტად არ გაიზარდოს ან არ გასკდება, ადამიანი უმეტესად არაფერს უჩივის. დიდი ზომის ანევრიზმა აწვევს ტვინის ქსოვილებსა და ნერვებს,

ამიტომ მოსალოდნელია: თავლების მდამოს ტკივილი, დაბუყება, სისუსტე ან სახის ერთი ნაწილის დამბლა; გუგების გაფართოება; მხედველობის დაბინდვა. ანევრიზმის გახეთქვის დროს ადამიანი შეიგრძნობს უეცარ და ძალიან ძლიერ თავის ტკივილს, მხედველობის გაორებას, პირღებინებას, გულისრევას, კეფის არეში დაჭიმულობას. შესაძლოა, გონებაც დაჭირდეს. ზოგჯერ ანევრიზმის გასკდომას წინ უძღვის ე.წ. გამაფრთხილებელი თავის ტკივილი, რომელიც გრძელდება რამდენიმე დღე ან კვირა, სინათლის მიმართ შემგრძნობელობა, ფსიქიკური ცვლილებები - საფრთხის მოახლოების შიში, შესაძლოა, კრუნჩხვაც კი. თუ განუხებთ მწვევე თავის ტკივილი, მეტადრე - თუ ის შერწყმულია ჩამოთვლილ ნიშნებთან, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.



სწრაფად იზრდება და იყვება სისხლით. თავის ტვინის სისხლძარღვთა ანევრიზმა, რაც მეტად იზრდება, მით მეტად აწვევს გარშემო არსებულ ქსოვილებსა და ნერვებს. განსაკუთრებით საშიშია ანევრიზმის გახეთქვა, რის შედეგადაც სისხლი ტვინის ქსოვილში იღვრება. როგორ ამოვიცნოთ ანევრიზმა? შესაძლებელია თუ არა მისი გახეთქვის თავიდან აცილება?

თავის ტრავმით, ჭრილობით; მაღალი არტერიული წნევი; ინფექციით; სიმსივნით (უპირატესად - თავისა და კისრის პირველადი ან მეტასტაზური ფორმებით); ათეროსკლეროზით; თამბაქოსა და ნარკოტიკების (უპირატესად - კოკაინის) მოხმარებით.

რა შეიძლება მოჰყვეს ანევრიზმის გახეთქვას? - ანევრიზმის გახეთქვას მოსდევს თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა, რაც სერიოზულ გართულებებს - ჰემორაგიულ ინსულტს, ნერვული სისტემის დაზიანებას და სიკვდილსაც კი იწვევს. პირველი გახეთქვის შემდეგ შესაძლოა მეორედაც გასკდეს. ასევე შესაძლოა, განვითარდეს სხვა, ახალი ანევრიზმა. თავის ტვინში ანევრიზმის გახეთქვას უმეტესად სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა მოჰყვება, ანუ სისხლის ჩაქცევა

სანამ ანევრიზმა მეტისმეტად არ გაიზარდოს ან არ გასკდება, ადამიანი უმეტესად არაფერს უჩივის. დიდი ზომის ანევრიზმა აწვევს ტვინის ქსოვილებსა და ნერვებს,

ამიტომ მოსალოდნელია: თავლების მდამოს ტკივილი, დაბუყება, სისუსტე ან სახის ერთი ნაწილის დამბლა; გუგების გაფართოება; მხედველობის დაბინდვა. ანევრიზმის გახეთქვის დროს ადამიანი შეიგრძნობს უეცარ და ძალიან ძლიერ თავის ტკივილს, მხედველობის გაორებას, პირღებინებას, გულისრევას, კეფის არეში დაჭიმულობას. შესაძლოა, გონებაც დაჭირდეს. ზოგჯერ ანევრიზმის გასკდომას წინ უძღვის ე.წ. გამაფრთხილებელი თავის ტკივილი, რომელიც გრძელდება რამდენიმე დღე ან კვირა, სინათლის მიმართ შემგრძნობელობა, ფსიქიკური ცვლილებები - საფრთხის მოახლოების შიში, შესაძლოა, კრუნჩხვაც კი. თუ განუხებთ მწვევე თავის ტკივილი, მეტადრე - თუ ის შერწყმულია ჩამოთვლილ ნიშნებთან, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

რა აჩენს თავის ტვინის ანევრიზმას? - თავის ტვინის ანევრიზმა შეიძლება გამოწვეული იყოს:

თავის ტვინში ანევრიზმა ნებისმიერ ადგილას შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ უმეტესად მდებარეობს არტერიის განტოტვის ადგილას, ტვინის ქვედა ზედაპირსა და ქალას

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვახტანგ და გოგი კიკილაშვილებს დედის გულჩინა ბოსტოლანაშვილის გარდაცვალების გამო.

N1 საჯარო სკოლის VI-ბ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ჯულიეტა პოპიაშვილი და მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ ანი ბექიშვილს დედის თათა ჯულაყიძის გარდაცვალების გამო.

სსშპს

გელა გიგაშვილი

ჩემო გაუსაძლისო ტკივილი, ჩემო მონატრებულო შვილი, 8 იანვარს 44 წელი შეგისრულდებოდა. ხუთი წელია უშენოდ ვხედვით ამ დღეს. დაბადების დღე შენს გარეშე გაუსაძლისი ტკივილია, მაგრამ საშველი არ ჩანს. მოვდივართ შენს საფლავზე და ცრემლით ვასველებთ. უფაღს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული და გზა გაგინათოს სამარადისო სასუფევლისკენ.

უშენობა ყველაფერს დაეტყუა, ძალიან გვაკლიხარ, გელა. დედა გენაცვალოს, მე მაინც ყოველდღე გელოდები, რომ კარს შემოაღებ და ძველებურად გულში ჩამიხუტებ. თუმცა, შენი ლოდინი უსასრულო და უიმედოა. მონატრებით ვანთებ სანთელს და მოუყვები გზას, რომელიც საბოლოოდ შეგვახვედრებს. არ ვეცემი შვილი, ვუმკლავდები გულის ტკივილს, არ მინდა უყურადღებოდ დაგტოვო. არასოდეს დაგვაინყვები, სანამ ჩემი გული ფეთქვს, შენც ჩემთან ერთად იარსებებ.

ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

დედა: ციცო მისტინაშვილი



„ნიჭიერი“ თამარ ყველაშვილი ფინალშია



ოზანელი „ნიჭიერი“ თამარ ყველაშვილი მსარდაჭერით SMS ლიდერი გახდა და ფინალში მოხვდა. მის სატელეფონო ნომერზე ყველაზე მეტი ხმა დაფიქსირდა.

თამარ ყველაშვილს კიდევ ერთმა ემოციურმა შესრულებამ მაყურებელთა ხმების 45.36%-იანი მხარდაჭერა და ფინალურ შოუში გარანტირებული ადგილი მოუტანა.

ჟიურის შეფასებით, თამარ ყველაშვილს ფინალშიც ერთერთი მაღალი შანსები აქვს და არ გამოირიცხავენ „ნიჭიერის“ წლებანდელი სეზონის გამარჯვებული სწორედ ის იყო.


დედოფლისწყაროს სოფელ ოზანში მცხოვრებმა თამარ ყველაშვილმა სიმღერა შვილის ავადმყოფობის გამო დაიწყო. ახლობლების რჩევით მეგა შოუში მონაწილეობის სურვილი გაუჩნდა, სადაც ჟიურის მოხიბვლა არაერთხელ შეძლო.

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო! გამოვიჩინეთ გულისხმიერება და მხარში დაუდგეთ ქალბატონ თამარს, რომელიც, მიკერძოების გარეშე, ნამდვილად იმსახურებს გამარჯვებას. ნუ დაიზარებთ, დაუშვით მას ფინალში და ერთად ვიზიემოთ გამარჯვება.

არბოშიკში უფასო ციფრული ტელემაუწყებლობა ჩაირთო

დედოფლისწყაროს სოფელ არბოშიკში ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობა ჩაირთო, რის შემდეგაც სოფლების მაცხოვრებლებს ქართული ტელე არხების გადაცემების უფასოდ მიღების შესაძლებლობა ექნებათ. 22 ქართული ტელე-არხის მაუწყებლობის გავრცელებას კომპანია სტერეო+ უზრუნველყოფს. სიგნალის მისაღებად საჭიროა ტელევიზორზე ე.წ. „სეტ ტოპ ბოქსის“ მიერთება.

როგორც სტერეო+ის გენერალურმა დირექტორმა დავით ზილფიმიანმა „შირაქს“ განუცხადა, ეს სოფლები ე.წ. ჩრდილების ზონაში შედიოდა, რის გამოც დამატებითი ანძის დადგმა გახდა აუცილებელი. არბოშიკის ანძიდან სიგნალს მეზობელი სოფლების: ოზანის, მირზანის და ზემო მაჩხანის მაცხოვრებლებიც შეძლებენ.



„დედოფლისწყაროში არსებული სატელევიზიო ანძიდან ეს სოფლები ვერ ახერხებენ სიგნალის მიღებას, რადგან სპეციფიური რელიეფის გამო ამ ტერიტორიაზე ჩრდილები წარმოიქმნება, ამიტომ უკვე რამდენიმე თვეა ამ სოფლებისთვის ანძის დადგმაზე ვმუშაობთ. ასეთი ზონები სხვა რაიონებშიც გვაქვს და ვცდილობთ ეტაპობრივად ამოვაკოთ და სრულ დაფარვას მივაღწიოთ,“ - აღნიშნავს დავით ზილფიმიანი.

ტელე არხების გადამცემი არბოშიკში მობილური კომპანიის ანძაზე დამონტაჟდა, რის გამოც „ჯეოსელსა“ და „სტერეო+“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი არხები: „იმედი“, „GDS“ „რუსთავი 2“, „მარაო“ „იბერია“, „კომედი“, „ობიექტივი“, „პალიტრა ნიუსი“, „1 გასართობი“, „სტარვიზია“, „ტვ პირველი“, „მეცსტრო“, „ერთ-სულოვნება“, „სილქ უნივერსალი“, „სტერეო+“, „ქართული არხი“, „დია“, „1 არხი“, „მეორე არხი“, „აჭარა“, „1 არხი HD“

არბოშიკის გარდა, ქართული არხების ღია ეთერით მიღება ახლა უკვე შემდეგ ჩრდილოვან ზონებშიც არის შესაძლებელი: კასპი, გომი, ნიაბი, მეტეხი, თელიანი, ხოვლე, ერთანმინდა, კავთისხევი, თელათგორი, ლავრისხევი, ნიჩბისი.

საქართველოში, მათ შორის დედოფლისწყაროში ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობა 2015 წლის სექტემბრიდან ხორციელდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ვირტუალურმა რეალობამ ემოციებს ჯერ არ დააბადებულ გავშვითან გაცნობის საშუალება მისცა

ვირტუალური რეალობა მხოლოდ ვიდეოთამაშებსა და კომპანია Facebook-ის მიერ შემოთავაზებულ სოციალურ სერვისებს როდი მოიცავს. ამ ტექნოლოგიით შესაძლებელია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შესვლა, როგორც პროფესიული, ისე ყოფითი კუთხით. მაგალი-

თად, ახალგაზრდა მშობლებისთვის საინტერესო იქნება VR-გარნიტურის საშუალებით, ბავშვის დანახვა მუცლადყოფნის პერიოდში. ეს სრულიად განსხვავდება ულტრაბგერითი კვლევის აპარატის ეკრანის გამოსახულებისგან. აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია ბავშვის სრულფასოვნად დანახვა ყველა მხრიდან.

ამოსაცნობია. სამედიცინო ცენტრის თანამშრომლების დახმარებით, მშობლებმა შეძლეს ულტრაბგერის სისტემის GE წარმოების გამოყენება ბავშვის სკანირებისთვის. ახალგაზრდა წყვილი ქსელებში უშედეგოდ ცდილობდა მსგავსი შემთხვევის აღწერის მოძებნას.

სავარაუდოდ, ეს ვირტუალური რეალობაში ჯერ არ დაბადებული ბავშვის სურათის გადატანის პირველი შემთხვევა იყო. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა მამა დაუკავშირდა ულტრაბგერითი კვლევის აპარატების მწარმოებლებს, 3D მოდელის VR-ფორმატისთვის კონვერტირების რჩევების მისაღებად. GE სპეციალისტებმა სიამოვნებით გაუზიარეს გამოცდილება ტრეტალური ინსტრუქციებიც გადაუგზავნეს.

80 წლის ბებიაც შვილიშვილის ამგვარი გაცნობით აღფრთოვანებული დარჩა. ცხადია, მსგავსი ტექნოლოგია მასობრივი ვერ გახდება, თუმცა გასართობ სფეროს შეიძლება გაცდეს. ბევრ ახალგაზრდა წყვილს ენდომება დაინახოს თავისი ბავშვი დაბადებამდე ამგვარი მიდგომის საშუალებით.



ახალგაზრდა წყვილმა ფინეთიდან მიზნად დაისახა თავიანთი მომავალი შვილის სრულფასოვანი 3D-სკანირების გაკეთება და მიღებული მოდელის გადატანა ვირტუალურ რეალობაში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო არა მარტო მისი დეტალური შესწავლა, არამედ ბებიებისთვის და ბაბუებისთვის ჩვენებაც. თავისთვად ეს გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ახლობლებისთვის ულტრაბგერის შავ-თეთრი, ბუნდოვანი სურათის ჩვენება, რომელზედაც ბავშვი საკმაოდ ძნელად



სკანირების მონაცემები დამუშავდა osiriX -ის პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფით, და მხატვრული 3D-რედაქტორით. მიღებული 3D-მოდელი გადაიტანეს Unity დამუშავებაში. ეს უკანასკნელი კარგადაა ადაპტირებული ყველა თანამედროვე VR-მონაცემების საშუალებაზე. მშობლებს VR-სათვალის გაკეთებისთანავე, მოძალებული ემოციებისგან სუნთქვა შეეკრათ.



ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს ც ყ ა რ ო	
ორშაბათი 23.01 დღე	სამშაბათი 24.01 ღამე	ოთხშაბათი 25.01 დღე	ხუთშაბათი 26.01 ღამე
☀️	☾	☀️	☁️
-4°	-5°	0°	-2°
☀️	☁️	☀️	☁️
2°	1°	4°	-3°
☀️	☁️	☁️	☁️
-4°	-8°	-7°	-8°
☀️	☾	☀️	☾
-4°	-6°		

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: **ლალი მხარნიშვილი**, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტიკა); **ელზა ხარაშვილი** (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.